ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრი*

*დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღი*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: *მადონა ქეშიკაშვილი*

**წევრები:**

კურიკულუმის ექსპერტი: *ქეთევან ბერუაშვილი*

კვების დარგში ექსპერტი: *დალი მედოიძე*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *თამილა გრძელიშვილი*

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არა კომერციული) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრი |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 228544046 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |

| 2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| იურიდიული მისამართი | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ქალაქი დედოფლისწყარო, ქუჩა კოსტავა N40 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი | მუნიციპალიტეტი დედოფლისწყარო, სოფელი ხორნაბუჯი, ქუჩა მეგობრობა |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |

| 3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |

| 4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა მარგიშვილის 2025 წლის 20 მაისის, ბრძანება - MES 3 25 0000548941 |
| ვიზიტის პერიოდი | 2025 წლის 17 -18 ივნისი |

| 5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე) | |
|---|---|
| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
| | |

## 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული *"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"*-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ | ქართული | | 80<br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

მიმდინარე წლის 17-18 ივნისს განხორციელდა დაგეგმილი ვიზიტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისათვის საჭირო მასალებს, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს მოხდა შეხვედრა დაწესებულების სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და პირებთან. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

აღსანიშნავია, რომ პერსონალი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, კეთილგანწყობითა და თანამშრომლობითი მიდგომით. ვიზიტის მსვლელობისას არ დაფიქსირებულა კომუნიკაციის ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რაიმე შეფერხება. დაწესებულების მხრიდან სახეზე იყო მაღალი ჩართულობა და მობილიზება ვიზიტის პროცესის სათანადოდ განხორციელებისთვის, რაც მიანიშნებს, რომ გუნდი პასუხისმგებლობით ეკიდება ავტორიზაციის პროცესს.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................................

......................................................................................................................................................

........................................................................................................................................

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>(სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა)<br>(ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში) | | |
| 2. კურიკულუმი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| | ☐ **არ შეესაბამება** | ☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. საალმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია. მისია, ხედვა ღირებულებების დოკუმენტში, რომელიც ჟღერს შემდეგნაირად:

„ჩვენი ბაღის მისიაა ფიზიკურად, გონებრივად და სოციალურად ჯანსაღი, ღირსეული, თავისუფალი, შემოქმედებითი და დამოუკიდებელი ბავშვების აღზრდა მშობლებთან და თემთან ჰარმონიული ურთიერთობით. ბავშვების პოტენციალის გამოვლენა და განვითარება, რათა ჩამოყალიბდნენ სიახლის შეცნობის მსურველ, განათლებულ მზრუნველ პიროვნებებად. კვლევებისა და აღმოჩენების გზით ჩვენ ვაღვივებთ სწავლის სიყვარულს, ხელს ვუწყობთ შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ცხოვრებისათვის საჭირო უნარების გამომუშავებასა და სამყაროს მრავალფეროვნების აღქმას.“

წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი და გამოკვეთილია დაწესებულების როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცის როლი. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................
რჩევა
..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ხედვა და ღირებულებები შემდეგი ფორმულირებით::

ხედვა: „ჩვენი ხედვაა ბაღის ცხოვრებაში თემისა და ოჯახის ჩართულობის გაზრდით ხელი შევუწყოთ ბაღის ინსტიტუციურ განვითარებას, ბავშვების ჩამოყალიბებას პასუხისმგებლიან მოქალაქეებად და ემპათიურ ინდივიდებად. ყოველწლიურად გავზარდოთ ბაღის თანამშრომლების პროფესიული განვითარება ბავშვთა შესაძლებლობების განვითარებისათვის. 2030 წლისათვის საკუთარ სივრცეში შექმნას სრულიად უსაფრთხო სისტემა.“

ღირებულებები: „ბაღის ღირებულებაა ინდივიდუალურობა და ინკლუზია - ჩვენ ვაფასებთ თითოეული ბავშვის უნიკალურ ძლიერ მხარეებს, ინტერესებს, ვუზრუნველვყოფთ, რომ ყველა გრძნობდეს თავს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თანასწორად.

- პროცესის უწყვეტობა და განვითარება;
- ინოვაციურობა - ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;
- ცნობისმოყვარეობა და ინტერესი.
- ჩვენ ვაფასებთ სწავლისადმი სიყვარულის გაღვივებას ბავშვების წახალისებით, დასვან კითხვები, განივითარონ შესაძლებლობები და აღმოჩენით მიიღონ სიხარული.
- განვითარება - საკუთარი საქმიანობის მუდმივი შეფასებითა და შემდგომი გაუმჯობესებით.
- პროფესიონალიზმი - თანამშრომელთა კვალიფიციურობა, გუნდურობა, ეფექტურობა აღსაზრდელზე ორიენტირება.“

წარმოდგენილ ხედვასა და ღირებულებებში იკვეთება მისიასთან კავშირი და განსაზღვრულია დაწესებულების მისიიდან გამომდინარე. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

### 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ასახულია ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მარტის N22 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესში, რომლის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის პირველი ეტაპია მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავება/გაზიარება. ამავე წესის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანებით. მოცემული წესის მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და გათვალისწინებულია მათი ჩართულობა შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

აღსანიშნავია, რომ მოცემული წესი დამტკიცებულია 2025 წლის 20 მარტის N22 ბრძანებით, ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხდომის ოქმი, რომელიც ასახავს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მისია, ხედვა ღირებულების შემუშავების პროცესს დათარიღებულია 2025 წლის 20 იანვრით, რაც გულისხმობს, რომ სამუშაო ჯგუფი შეიკრიბა 1 თვით ადრე იმ წესის დამტკიცებამდე, რომლითაც განსაზღვრულია ამავე ჯგუფის შეკრება.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის ბრძანება N17, რომელშიც განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის წევრები ვინც მიიღებდა მონაწილეობას მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში, აღნიშნული წევრები და სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმში მოხსენიებული სამუშაო ჯგუფის წევრები არ არის იდენტური. ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად "სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შეიძლება განახლდეს პერიოდულად, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე." დაწესებულებას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება ჯგუფის წევრების ცვლილება.

დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებით განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის ბრძანება N17 არ განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადას.

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-7 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს არის რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი. ვინაიდან სამუშაო ჯგუფი არის ფორმატი რისი საშუალებითაც ხდება დაინტერესებული მხარეების ჩართვა მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესში, მნიშვნელოვანი ამ საკითხების განხილვა. კერძოდ:

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-7 მუხლის მე - 8 პუნქტი ფორმულირებულია შემდეგნაირად:

- "სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სამუშაო ჯგუფის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამუშაო ჯგუფის სრულის შემადგენლობის 2/3-ზე მეტი."

მოცემული ორი წინადადება ურთიერთგამომრიცხავია და შეუძლებელს ხდის დადგინდეს რა შემთხვევაში არის სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილი.

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-7 მუხლის მე - 9 პუნქტი ფორმულირებულია შემდეგნაირად:

- "სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სამუშაო ჯგუფის სხდომის თავმდჯომარე და სამუშაო ჯგუფის მდივანი. სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით, რომლესაც ხელს აწერენ სამუშაო ჯგუფის სხდომის თავმჯდომარე, სხდომაზე დამსწრები პირები და სამუშაო ჯგუფის მდივანი"

მოცემული ფორმულირებაც ორ განსხვავებულ წესს ადგენს, გაურკვეველია რომელია ვალიდური. დაწესებულების მინერ წარმოდგენილ სხდომის ოქმში გამოყენებულია ჯგუფის თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერა.

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-7 მუხლის მე - 10 პუნქტი ფორმულირებულია შემდეგნაირად:

- "სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შემავალ, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით, ხოლო ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამუშაო ჯგუფის სხდომის თავმჯდომარის ხმა.სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმში. სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შემავალ დამსწრეთა სრული შემადგენლობის 2/3-ზე მეტით. წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო ხმათა

თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამუშაო ჯგუფის სხდომის თავმჯდომარის ხმა. ხმა.სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმში"

მოცემული ჩანაწერით მოიცავს ორ შესაძლო რეგულაციას, და შეუძლებელია დადგინდეს გადაწყვეტილების მიღების წესი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 1 სხდომის ოქმში, რომელშიც არ არის გამოყენებული არცერთი მოცემული რეგულაცია.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არის ხარვეზიანი,, ვერ დგინდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ წარმოადგინოს ტექნიკურად გამართული დოკუმენტები, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესში.

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზის გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-8 მუხლის მე - 2 პუნქტით განსაზღვრულია, რომ უნდა მოხდეს მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტის გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან. დაწესებულებას გაზიარებისთვის განსაზღვრული აქვს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები მათ შორის საინფორმაციო დაფა. ვიზიტის დროს დადასტურდა რომ დაწესებულებას მისია, ხედვა, ღირებულებები გამოკრული აქვს საინფორმაციო დაფაზე და ხელსმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. თუმცა არ წარმოუდგენია დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების დამადასტურებელი სხვა

მტკიცებულებები, რის საფუძველზეც დასტურდება რომ დაწესებულებამ გააზიარა დაინტერესებულ მხარეებთან მისია,ხედვა ღირებულებების პროექტი. ამასთან, დამტკიცებული წესის თანახმად დირექტორი თუ მოიწონებს მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტს უზრუნველყოფს მის გამოქვეყნებას, თუმცა არ არის მითითებული სად აქვეყნებს და რამდენად უზრუნველყოფს მოცემული გამოქვეყნება საჯაროდ ხელმისაწვდომობას. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მისია,ხედვა და ღირებულებების პროექტის გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან, მისი საბოლოო სახით მიღებამდე და დასრულებული დოკუმენტის საჯაროდ გამოქვეყნება. ასახოს შესაბამისი რეგულაცია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში.

რჩევა

მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ერთმანეთისგან გამიჯნოს ტერმინები “გაზიარება” და “საჯაროდ ხელმისაწვდომობა”. დაწესებულებამ შესაძლოა ვერ ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე მისია,ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესში, თუმცა გაზიარების მექანიზმი მას აძლევს საშუალებას დოკუმენტის პროექტი გაუზიაროს მეტ ადამიანს და მათგან მიღებული უკუკავშირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოიყენოს მისია, ხედვა, ღირებულებების საბოლოო ფორმით შემუშავებისთვის. ხოლო საჯაროდ ხელმისაწვდომობა გულისხმობს, უკვე შემუშავებული დოკუმენტის საბოლოო ვერსიის საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ისეთ საკომუნიკაციო არხებით რაც ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომია, მაგალითად სოციალური ქსელი, ვებ-გვერდი და სხვა. გაზიარების და საჯაროდ ხელმისაწვდომობის მექანიზმები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მაგალითად: საინფორმაციო დაფა შეიძლება ჩაითვალოს გაზიარების მექანიზმად, თუმცა ვერ იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის გამოყენებული, ვინაიდან ბაღის შენობაში შესვლა არ შეუძლია ნებისმიერ ადამიანს და საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაცია არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზის გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. *მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტი;*

2. *ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მარტის N22 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესი;*
3. *სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;*
4. *სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის ბრძანება N17.*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

## 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად. წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასების ფორმას და პერიოდულობას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, ასევე, განსაზღვრული აქვს დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

..........................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................

### 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა. რომელიც არის დამტკიცებული ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის №40 ბრძანებით, თუმცა წარმოდგენილი აქვს ბრძანება და დოკუმენტი არა ერთიანი სახით, დოკუმენტი არის WORD ფაილის სახით, რომელიც ტექსტში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას იძლევა, არ აქვს ხელმოწერა, ბეჭედი ან რაიმე სხვა ნიშანი მისი ვალიდურობის დადგენისთვის. მხოლოდ სათაური სადაც მითითებულია ბრძანების ნომერი და უფლებამოსილი პირი, შეუძლებელია დადგინდეს მოცემული დოკუმენტი არის თუ არა საბოლოო ფორმა, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიულ გეგმა არის ციკლური, რაც დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს, რომ დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება 5 წელიწადში ერთხელ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნების ორ დამოუკიდებელ ჯგუფს. დოკუმენტის დასაწყისში (გვ.4) განსაზღვრულია 13 მიზანი, რომლებსაც არ აქვს თანდართული მიზნების შესაბამისი სტრატეგიული ამოცანები. ასევე, დოკუმენტის ბოლოს (გვ.10) მოცემულია სტრატეგიული მიზნების სხვა ჯგუფი (6 სხვა მიზანი), რომლებსაც თანდართული აქვს სტრატეგიული ამოცანები, ინდიკატორი და ღონისძიებები. დაწესებულებას თვითშეფასებაში სტრატეგიულ მიზნებად მოხსენიებული აქვს მიზნების ის ჯგუფი, რომელიც მოცემულია დოკუმენტის ბოლოს (გვ.10), მოცემული მიზნები შესაბამისობაშია მისია, ხედვა და ღირებულებებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ წარმოადგინოს სტრატეგიული გეგმის შესახებ ბრძანება და შესაბამისი დოკუმენტი იმგვარი ფორმით, რომ დადგინდეს დოკუმენტის ვალიდურობა. დაწესებულებამ შეიტანოს ცვლილებები სტრატეგიულ გეგმაში, გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები და ჩამოყალიბოს

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები გარკვევით, რათა ცალსახა და ნათელი იყოს რომელი მიზნების და ამოცანების შესრულება აქვს გადაწყვეტილი დაწესებულებას მომდევნო 5 წლის განმავლობაში.

რჩევა

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიულ გეგმაში უნდა განისაზღვროს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, ხოლო ღონისძიებები, რისკები და სხვა მსგავსი კომპონენტები წარმოადგენს სამოქმედო გეგმის ნაწილს, რომელიც თავის მხრივ უნდა გამომდინარეობდეს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებისგან,

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზის გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის 1 წლიანი, რომელიც მორგებულია სასწავლო წელზე და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ. სამოქმედო გეგმაში მოცემული მიზნები და ამოცანები არ არის შესაბამისობაში სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან, ვინაიდან სამოქმედო გეგმაში მოხსენიებული მიზნები და ამოცანები არ წარმოადგენს სტრატეგიაში განსაზღვრულ მიზნებს და ამოცანებს. **ინდიკატორის მოთხოვნა ამ ნაწილში არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შინაარსის და ფორმულირების .რედაქტირება იმგვარად, რომ სამოქმედო გეგმა ეფუძნებოდეს სტრატეგიულ გეგმაში მოცემულ მიზნებს და ამოცანებს.

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმიდან პირდაპირ გადაიტანოს სამოქმედო გეგმის დოკუმენტში ის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, რომლის შესრულებასაც გეგმავს მიმდინარე წელს სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზის გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები არ არის შესაბამისობაში სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულიაა მხოლოდ თვეების რაოდენობა და არ არის მითითებული კონკრეტული ვადები თვეების ჭრილში. ამ ნაწილში **არ არის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ წარმოადგინოს სტრატეგიული გეგმის შესაბამისი მიზნები, ამოცანები და ვადები თვეების ჭრილში, რათა დაკმაყოფილდეს ინდიკატორის მოთხოვნები.

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზის გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი. მოცემული წესის მე-13 მუხლის თანახმად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში

(2,5 წელი) და ბოლოს. ვინაიდან სტრატეგიული გეგმის მოქმედება იწყება 2025 წელს, ამ ეტაპზე დაწესებულებას ვერ ექნება მონიტორინგის ან შეფასების განხორციელების შესაძლებლობა.

დაწესებულებას ასევე განსაზღვრული აქვს სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების წესი. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია, რომ დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად. ვინაიდან სამოქმედო გეგმა 1 წლიანია და ჯერ არ არის მისი მოქმედების ვადა გასული, დაწესებულებას ვერ ექნება წლიური შეფასების ვალდებულება. რაც შეეხება სამოქმედო გეგმის მონიტორინგს,დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოქმედია 2024 წლის სექტემბრიდან, შესაბამისად დაწესებულებას უნდა განეხორციელებინა კვარტალური მონიტორინგი, თავისივე განსაზღვრული წესის შესაბამისად, რისი დამადასტურებელი ინფორმაცია და მტკიცებულებები დაწესებულებას არ წარმოუდგენია, შესაბამისდ ამ ნაწილში **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის განხორციელება რათა დაკმაყოფილდეს ინდიკატორის მოთხოვნა.

რჩევა
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია ხარვეზის გამოსწორების გეგმა და ვადა. ვიზიარებთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებას ამ ეტაპზე არ გააჩნია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები და შესაბამისად ვერ ექნება საჯაროდ გამოქვეყნებული და ვერ გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის, ვინაიდან ორივე დოკუმენტი ამ ეტაპზე მოქმედია. არ დამდგარა მოცემული დოკუმენტების შეფასების პერიოდი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. *მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტი;*
2. *ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მარტის N22 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესი;*
3. *ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა;*
4. *ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 12 სექტემბრის N28 ბრძანებით დამტკიცებული 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება

1.ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში;
2.სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში.

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა , წინასწარ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმები: „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში „ აქტივობათა კრებული“ I და II ნაწილი და მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის“ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ I და II ნაწილი, რაც დასტურდება დაწესებულების მირ წარმოდგენილი, ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებით N 52- „ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის საბავშვო ბაღების და ბაგა-ბაღების სახელმძღვანელოების დამტკიცების შესახებ“ ასევე წინასწარ შერჩევის დამადასტურებელი მტკიცებულება, ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება N 51 კურიკულუმის შერჩევა/გაზიარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, 2025 წლის 20 მარტის ბრძნება N 27 კურიკულუმის შერჩევის , გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ, 2023 წლის 2 ოქტომბრის კურიკულუმის შერჩევა/გაზიარების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

---

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინასწარ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმები უზრუნველყოფს ბავშვების ჩართულობას 3 თემატური მიმართულებით (ხელოვნება, წიგნიერება და მეცნიერება). კურიკულუმი ხელს უწყობს შესაბამისი თემატური მიმართულების ფარგლებში აღსაზრდელებისათვის მრავალფეროვანი თამაშების შეთავაზებას და მასში ინტერესით მონაწილეობას. აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს ბავშვის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას შემდეგ სფეროებში:შემეცნებითი, მეტყველების, სოცილური, ემოციური და ფიზიკური. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები, თავისივე მიზნებიდან გამომდინარე ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში „ აქტივობათა კრებული“ I და II ნაწილი და მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ I და II ნაწილი. დაწესებულებას ასევე აქვს წარმოდგენილი დღის განრიგი სადაც ნათლად ჩანს თამასისათვის გამოყოფილი დრო/ხანგრზლივობა, რომელიც მოიცავს დღის უმეტეს ნაწილს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შემოთვაზებული კურიკულუმებით „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში „ აქტივობათა კრებული“ I და II ნაწილი და მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ I და II ნაწილი, იგი ითვალისწინებს ოჯახებთან აქტიურ თანამშრომლობას, ბაღის საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობას, ბავშვის სწავლასა და განვითარებაში მშობლის უწყვეტი ჩართულობა და მშობელთა უწყვეტ განათლება ბავშვის განვითარებასთან საკითხებთან დაკავშირებით. ასევე სააღმზრდელო პერსონალის მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი და საკომუნიკაციო გეგემების მეშვეობით სადაც გაწერილია აქტივობები პროექტები მშობლების ჩართულობით. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობას რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით„სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში „ აქტივობათა კრებული“ I და II ნაწილი და მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ I და II ნაწილი,,. აღნისნული კურიკულუმი ითვალისწინებს აღსაზრდელების მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის შესაზლებლობას: საუბრის, აზრის გამოთქმის, შექმის, გამოგონების, კვლევის, მოსმენის, წიგნებთან ურთიერთობის, ფიზიკური აქტივობის, რისკიანი თამაშებისა და მრავალფეროვანი მასალების გამოყენებას. აღნიშნული აქტივობებში ჩართვისას ხდება ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, თუმცა კურიკულუმი იძლევა საშუალებას გათვალისწინებულ იქნას თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროება, რისთვისაც აღმზრდელებს სთავაზობს, სხვადასხვა ტიპის დაკვირვება/შეფასების მეთოდებსა და ფორმებს. დაწესებულება კურიკულუმის ფარგლებში ხელმძღვანელობს ყოველკვირეული გეგმებით, სადაც შესაძლებელია დაკვირვების ჩანაწერების, ინდივიდუალიზაციის, ტრანზიციისა და რეფლექსური ჩანაწერების წარმოება. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................................

